"რეგისტრირებულია"

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ

2002 წლის "1..." ...მარტი.....

რეგისტრაციის №14/4-486

მოსამართლე:

"მიღებულია"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი"- ს პარტნიორთა კრების მიერ

2002 წლის 28 თებერვალს ოქმი №1

შ ე ზ ღ უ დ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

„ზ უ გ დ ი დ ი ს პ რ ი ნ ც მ ი უ რ ა ტ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ქ ა რ თ უ ლ - ფ რ ა ნ გ უ ლ ი კ ო ლ ე ჯ ი"

წ ე ს დ ე ბ ა

ზუგდიდი
2002

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი“-ს

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი“ შემდგომში "საზოგადოება", არის პარტნიორთა ნებაყოფილებითი გაერთიანება.

1.2. საზოგადოება შექმნილია საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3. საზოგადოება შექმნილია „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი“-ს პარტნიორთა მიერ პირადი შენატანებით.

1.4. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

1.5. საზოგადოება პასუხს არ აგებს სახელმწიფოსა და საზოგადოების წევრების ვალდებულებებზე, ისე, როგორც სახელმწიფო არ აგებს პასუხს საზოგადოების ვალდებულებებზე.

1.6. საზოგადოება იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. საზოგადოების სახელწოდება:

2.1. ქართულად: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი“

რუსულად: Общество с Ограниченной Ответственностью. **"Зугдидский французско-грузинский колледж имени Принца Миурата "**

ფრანგულად: **S.A.R.L. "Ecole Prince Murat franco-géorgienne à Zougdidi"**

მუხლი 3. საზოგადოების იურიდიული მისამართი და სტატუსი:

3.1. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ზუგდიდი, თაბუკაშვილის ქ. №29.

3.2. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, მათ შორის უცხოური ვალუტით საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში. აქვს მრგვალი ბეჭედი თავის დასახელებით, თეგი, ბლანკები და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები.

3.3. საზოგადოებას საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც განაგებს და მოიხმარს თავის საქმიანობის მიზნების მისაღწევად.

3.4. საზოგადოებას აქვს უფლება დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში.

3.5. საზოგადოება მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ უფლება–მოვალეობათა სუბიექტი ხდება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.6. საზოგადოებას უფლება აქვს განახორციელოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. საწესდებო კაპიტალი:

4.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი"-ს საწესდებო კაპიტალი შეადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შეფასებულ 4400 (ოთხიათას ოთხასი) ლარის ღირებულების ქონებას.

თითოეული პარტნიორის წილი:

1. კახაბერ ფარცვანია – 3520 ლარი, მთლიანი საწესდებო კაპიტალის 80%
2. მედეა ჭაჭუა – 880 ლარი, მთლიანი საწესდებო კაპიტალის 20%

მუხლი 5. საზოგადოების საქმიანობა:

5.1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება და მიღებული მოგების ხარჯზე პარტნიორთა და მუშაკთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, ასევე მოსახლეობის და სხვა იურიდიული პირების მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვადასხვა სახის საქონელზე და მომსახურებაზე.

5.2. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზოგადოება ახორციელებს საკუთარ სამეურნეო, კომერციულ და სხვა საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

ა) <u>განათლება და კულტურა:</u> კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზება, კოლეჯის შექმნა, რომლის მიზანია:

- ევროპული განათლებისა და ქართული მენტალიტეტის მქონე ახალგაზრდების აღზრდა.
- კოლეჯის მოსწავლეები ეზიარებიან ქრისტიანობის მრწამსს და მართმადიდებლური ცხოვრების წესს.
- კოლეჯის მასწავლებლები დანერგავენ ქართული და ევროპული საგანმანათლებლო ტრადიციების საუკეთესო ფორმებს. კოლეჯი გახდება საფუძველი გულისხმიერი მოზარდების აღზრდისა და ჩამოყალიბებისა.
- კოლეჯის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში გამოიკვეთება შემოქმედებითი ურთიერთობები ტალანტის გამოვლენისათვის. კოლეჯის ძირითადი ფუნქციაა ამ გახსნილ ტალანტს მიეცეს სწორი მიმართულება უნარისა და შესაძლებლობების მიხედვით.
- კოლეჯი მოიცავს სწავლების შემდეგ საფეხურებს– საბავშვო ბაღი(მოსამზადებელი კლასი) 5-6 წლის ასაკისათვის; დაწყებითი სკოლა I-V კლასი; კოლეჯი VI-XI კლასი; საუნივერსიტეტოდ მზადება XII კლასი.

ბ) <u>წარმოება:</u> ჩაის ნედლეულის შესყიდვა გადამუშავება და რეალიზაცია. ხე-ტყის დამზადება შესყიდვა დამუშავება და რეალიზაცია. სასურსათო საქონელი, სახალხო მოხმარებისა და სახალხო რეწვის საქონელი, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის წარმოება და მათი საბითუმო და საცალო რეალიზაცია. საკომისიო ვაჭრობა, აგროსამრეწველო საწარმოების განვითარება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და რეალიზაცია, პურპროდუქტების წარმოება საკონსერვო წარმოება, ხორცის, რძე და რძის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების დამზადება, ჩამოსხმა, შესყიდვა და რეალიზაცია, თამბაქოს წარმოება გადამუშავება, თამბაქოს ნაწარმის წარმოება, შემოტანა, შესყიდვა და რეალიზაცია. სამკერვალო პროდუქციის გამოშვება, ზეთოვანი საღებავების წარმოება და რეალიზაცია. ხის მორების დახერხვა და ხე-ტყის მასალიდან სხვადასხვა სამშენებლო მასალების დამზადება და რეალიზაცია. სამრეწველო მექანიზმებისა და დანადგარების წარმოება და რეალიზაცია. ტექნიკური დოკუმენტაციების შედგენა (კონსტრუირება, დიზაინი და სხვა).

გ) <u>სოფლის მეურნეობა:</u> თხილის მოყვანა, შესყიდვა, გადამუშავება და რეალიზაცია. ყველა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და გაყიდვა, მოსახლეობისაგან შესყიდვა, გადამუშავება და რეალიზაცია. აგრეთვე ივჯარით აღებული მიწის ნაკვეთებიდან იგივე

სახის პროდუქციის წარმოება გადამუშავება. საკუთარი წარმოების, აგრეთვე შესყიდვისა და დამზადებული სასოფლო-სამეყრნეო პროდუქციის გაცვლა საზღვარგარეთ და მისი რეალიზაცია.

დ) ენერგეტიკა ენერგეტიკასთან დაკავშირებული ნებადართული საქმიანობა, ჰესების რემონტი, ელექტრო ენერგიის შესყიდვა გაყიდვდ.

ე) მომსახურება: საყოფაცხოვრებო მომსახურება (ღებვა, წმენდა), ორგანიზაციებისა და მოქალაქეების იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება. საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა, სასტუმროების, ატელიეების, მოწყობა, ორგანიზაციების იურიდიული მომსახურება, სამართლებრივი, სამეცნიერო, საორგანიზაციო, მართვის საინფორმაციო, სამარკეტნგო, სარეკლამო-სადემონსტრაციო, საშუამავლო, სააგენტო საკონსულტაციო და სხვა სახის მომსახურების გაწევა. მომსახურება კავშირგაბმულობასა და რადიო ტელეკომუნიკაციების დარგში, სატელეფონო მომსახურეობა, სალომბარდო მომსახურეობის ორგანიზება.

ვ) მედიცინა: მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, სააფთიაქო ქსელების შექმნა. მედიკამენტების შემოტანა და რეალიზაცია. პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სტომატოლოდიური, გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ორგანიზება.

ზ) საზკვება: საზოგადოებრივი კვების პროდუქტების წარმოება, რეალიზაციის მოხმარების ორგანიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობა. საზოგადოებრივი კვების ობიექტების (კაფე-ბარების, სასადილოები, რესტორნები) მოწყობა ფუნქციონირება პურფუნთუშეულის ცხობა და რეალიზაცია. საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

თ) არქიტექტურა მშენებლობა: არქიტექტურა პროექტირება და დიზაინი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო საინჟინრო-საძიებო, სამუშაოების წარმოება. ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების განსახორციელებლად, საყოფაცხოვრებო გარემოს სრულყოფისა და მისი არქიტექტურულმხატრული იერსახის გაუმჯობესებისათვის სერვისული მომსახურეობის გაწევა. სამშენებლო, სამონტაჟო, გაშვება—გამართვის სამუშაოების წარმოება. საკონსულტაციო-საექსპერტო მომსახურეობა. კომუნალური მომსახურეობა. საშენი მასალების წარმოება, შესყიდვა რეალიზაცია.

ი) ტრანსპორტი ავტოგასამართი სადგურების ორგანიზება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ტექნიკური მომსახურების სადგურებისა და ავტომობილების სერვიზული მომსახურება. მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის ორგანიზება და განხორციელება, საჰაერო, სახმელეთო, საწყლოსნო, რკინიგზის ტრანსპორტით, სატრანსპორტო საშუალებებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენა და რეალიზაცია.

კ) ვაჭრობა: ნავთობპროდუქტების შესყიდვა, შემოტანა და რეალიზაცია, თხევადი გაზით, ბუნებრივი გაზით ვაჭრობა. ოქროს, ვერცხლის სხვა ძვირფასი ლითონების,ძვირფასი ქვების, საიუველირო ნაწარმის შესყიდვა რეალიზაცია. სასურსათო და არასასურსათო საქონლით, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა. საკონსიგანაციო ნაგებობების შექმნა და ექსპლუატაცია, სამაცივრო მეურნეობის ამოქმედება ვაჭრობა, საფირმო მაღაზიების შექმნა. თამბაქოს ნაწარმის საბითუმო და საცალო ვაჭრობა. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ავტომანქანების შეძენა, ახალი და რესტავრირებული სათადარიგო ნაწილების შემოტანა და რეალიზაცია. ბაზრობების მოწყობა.

ლ) ოპერაციები უძრავ ქონებასთან და მიწასთან: უძრავ ქონებასთან ოპერაციების ორგანიზება და განხორციელება მიწის ყიდვა, გაყიდვა, იჯარით აღება და გაიჯარება.

მ) ფინანსები: სავალუტო ოპერაციების ორგანიზება, და ამ ოპერაციების წარმოება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების პარტნიორებთან და საბანკო დაწესებულებებთან.

- მოსახლეობისაგან ვალუტის შესყიდვა და გაყიდვა.
- საფონდო და სასაქონლო ოპერაციების დაფინანსება.
- ლატარიების და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება.
- ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა.

- საკუთარი საფინანსო დაწესებულებებისა და ბანკების ორგანიზება.
- აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების ორგანიზება.

ნ) <u>კომპიუტერები და ტელეკომუნიკაციები:</u>

ო) <u>ტურიზმის განვითარება:</u>

პ) <u>პროდუქციის იმპორტ-ექსპორტი:</u>

5.3. დივერსიფიკაციის წესით საზოგადოება ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ასევე სხვა ქვეყნებში, რომელიც არ არის აკრძალული ამ ქვეყნის კანონმდებლობით.

5.4. ყველა ის საქმიანობა, რომელიც წესდებით არ არის გათვალისწინებული, მაგარმ არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

5.5. ყველა იმ საქმიანობას, რომელსაც სჭირდება სათანადო ნებართვა /ლიცენზია/ საზოგადოება განახორციელებს სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ.

5.6. საზოგადოების სამეურნეო წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს პირველი წლის გარდა, რომელიც იწყება სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან და მთავრდება 31 დეკემბერს.

5.7. საზოგადოებაში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. პარტნიორის უფლება-მოვალეობანი:

6.1. საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხოეთის მოქალაქე.

6.2. საზოგადოების პარტნიორები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას.

6.3. ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიში არასწორადაა შედგენილი ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას.

6.4. პარტნიორებს შეუძლიათ წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა.

6.5. თუ პარტნიორი თავდაპირველი წილის მისამატებლად შეიძენს სხვა წილს, მაშინ თითოეული წილი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას.

6.6. პარტნიორის მიერ წილის დათმობა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას.

6.7. წილის ნაწილობრივი გასხვისება შესაძლოა მხოლოდ საზოგადოების ნებართვით. ნებართვაში უნდა აღინიშნოს შემძენის პიროვნება და თანხა, რომელიც შეესაბამება დაუნაწევრებელი შენატანის გაყოფის შედეგად წარმოშობილ თითოეულ წილს. შესატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისათვის შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს, მაგრამ იგი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს.

6.8. დაუშვებელია საკუთარი წილის შეძენა.

6.9. თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლებები აქვთ.

6.10. პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს, უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ კრების მოწვევა ამ კრების მიზნისა და საფუძვლების მითითებით. თუ ამ მოთხოვნას არ გამოეხმაურებიან ან საერთოდ არ არსებობენ ის პირები, ვის მიმართაც არის ეს მოთხოვნა გათვალისწინებული, მაშინ პარტნიორებს საქმის გარემოებებიდან

გამომდინარე, შეუძლიათ თვითონ მოიწვიონ იგი, კრება გადაწყვეტს მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის საკითხს.

6.11. პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას.

6.12. დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

დირქტორებმა შეიძლება უარი თქვან ამგვარი ინფორმაციის მიცემასა და წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობაზე, თუ ეს ინფორმაცია პარტნიორმა შეიძლება საზოგადოების საწინააღმდეგო მიზნებისათვის გამოიყენოს და ამით საზოგადოებას ან მის მეკავშირე საწარმოს უარყოფითი შედეგები მოუტანოს. უარი მოითხოვს პარტნიორთა გადაწყვეტილებას.

დირექტორების მიერ ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, თუ მას განცხადებით მიმართეს. განცხადებით მიმართვის უფლება აქვს პარტნიორს, რომელსაც უარი ეთქვა ინფორმაციის მიცემასა და წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობაზე.

6.13. საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ:

- მონაწილეობა მიიღონ ფირმის მართვაში;
- მიიღონ მოგების კუთვნილი წილი და ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღონ ქონების კუთვნილი წილი;
- მიიღონ საზოგადოების მიერ გამოშვებული პროდუქცია /სამუშაოები, მომსახურება, პროდუქტები/ პირველ რიგში.

6.14. პარტნიორები მოვალენი არიან:

– არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია ფირმის საქმიანობის შესახებ.
– დაიცვან წესდების მოთხოვნები.
– შეასრულონ საზოგადოების კრების გადაწყვეტილებები.

მუხლი 7. მართვის ორგანოები:

7.1. საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს საზოგადოების საქმიანობას.

7.2. საზოგადოების საქმიანობას სათავეში უდგას დირექტორი, რომელიც მინდობილობის გარეშე წარმოადგენს საზოგადოების ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე. ის ორგანიზებას უწევს კრების გადაწყვეტილების შესრულებას და წყვეტს საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. საწარმოს დირექტორი მოქმედებს ერთპიროვნულად.

7.3. საზოგადოების დირექტორს უფლება აქვს მინდობილობით საზოგადოების დაცვა დააკისროს საზოგადოების ნებისმიერ წევრს.

7.4. პარტნიორთა კრება ტარდება, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ, თუ პარტნიორებმა არ ისარგებლეს 6.3. მუხლში გათვალისწინებული უფლებით. დირექტორმა უნდა მოიწვიოს საზოგადოების კრება, თუ საზოგადოების ინტერესები ამას მოითხოვს ანდა თუ პარტნიორები მოითხოვენ კრების ჩატარებას 6.10 მუხლის შესაბამისად.

7.5. საზოგადოების წესდების შეცვლა შეიძლება მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ასეთ გადაწყვეტილებას სჭირდება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა და სანოტარო წესით დამოწმება.

7.6. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე, კერძოდ:

ა/ სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;

ბ/ წილთა შეძენა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შეძენა, გასხვისება და ლიკვიდაცია;

გ/ წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

დ/ ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

ე/ უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ვ/ ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის ათ პროცენტს;

ზ/ სესხებისა და კრედიტების აღება;

თ/ იმ სესხისა და კრედიტის უზრუნველყოფა, რომელებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას;

ი/ ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

კ/ პროკურის გაცემა და გაუქმება;

ლ/ იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს. დაფუძნებიდან ან საზოგადოების . მართვიდან გამომდინარე დირექტორების ანდა პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პრინციპებში, რომლებსაც იგი დირექტორის წინააღმდეგ წარმართავს

მ/ წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;

ნ/ შესატანის გადახდის მოთხოვნა;

ო/ დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება.

პ/ დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, მასთან შრომის ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მისი ანგარიშის დამტკიცება.

7.7. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

7.8. დირექტორს შეუძლია მოიწვიოს საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობენ ის პარტნიორები, რომლებსაც აქვთ ხმების უმრავლესობა. თუ კრება გადაწყვეტილებუნარიანი არ არის, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით კვლავ მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა.

7.9. კრება დაუყოვნებლივ უნდა იყოს მოწვეული, თუ წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

7.10. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განხილულ საკითხს.

7.11. კრების გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით, თუ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისთვის ან თუ არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

7.12. საზოგადოების კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზედაც აუცილებელია თავმჯდომარე ხელმოწერა.

მუხლი 8. ხელმძღვანელობა, წარმომადგენლობა, დირექტორი:

8.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება ეკისრება დირექტორს, რომელიც მხოლოდ ერთპიროვნულად მოქმედებს მეწარმეთა კანონის შესაბამისად.

8.2. საზოგადოების დირექტორი საზოგადოებას წარმოადგენს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში შეზღუდული არ არის.

8.3. საზოგადოების დირექტორს არა აქვს უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიოს იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება, ან მიიღოს მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. ამ თანხმობის გაცემა შეუძლია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს დირექტორს.

ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.

8.4. კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისას დამრღვევი ვალდებულია უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე, დათმოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები და აანაზღაუროს ზარალი. ამ უფლების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ დანარჩენი პარტნიორები.

8.5. საზოგადოების დირექტორი საქმეს უნდა გაუძღვეს ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. თუ დირექტორი არ შეასრულებს ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზარალისათვის პარტნიორების წინაშე აგებს პასუხს. საზოგადოების დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაურღვევია თავისი მოვალეობა.

8.6. დირექტორს ან სამეწარმეო საქმიანობისათვის ნაწილობრივ უფლებამოსილ პირებს არ შეიძლება მიეცეთ კრედიტი საზოგადოების იმ ქონებიდან, რომელიც აუცილებელია საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. კრედიტი, რომელიც მაინც გაიცა ყოველგვარი სხვაგვარი შეთანხმების მიუხედავად, მაშინვე უნდა დაბრუნდეს.

საზოგადოების უფლებამოსილ პირს, დირექტორს შეუძლია წერილობით მისცეს მინდობილობა ამა თუ იმ პირს. მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი ორნი ან ყველა ერთად წარმოადგენენ საწარმოს (საერთო მინდობილობა). თუ მინდობილობა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, იგი წარმოადგენს გენერალურ სავაჭრო მინდობილობას (პროკურა).

8.7. დირექტორი ვალდებულია საზოგადოებას აუნაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც გაღებულ იქნა საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის დავალიანების დადგენის შემდეგ. ეს წესი არ მოქმედებს იმ ხარჯების მიმართ, რომლებიც გაღებული იყო გადახდისუუნარობის დადგომის შემდეგ, თუ დირექტორები მოქმედებდნენ ნამდვილი კომერსანტის კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით.

8.8. დირექტორი პასუხისმგებელია მასზე, რომ საზოგადოების საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოს მოქმედი საბუღალტრო საქმეების, აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად.

8.9. დირექტორი უფლებამოსილია:

დაამტკიცოს საზოგადოების ნორმატიული დოკუმენტები და საშტატო განრიგი. მიიღოს და გაანთავისუფლოს სამუშაოდან საზოგადოების მუშაკები, წაახალისოს და დახარჯოს შინაგანაწესის შესაბამისად, დადოს გარიგებები, გასცეს მინდობილობები, გახსნას ანგარიშები, გამოსცეს საორგანიზაციო–განკარგულებელი ხასიათის დოკუმენტები და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

მუხლი 9. წლიური შედეგები:

9.1. წლიურ ანგარიშს ადგენს დირექტორი. კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად, იგი ხორციელდება შეფასების ყველა მოთხოვნის დაცვით. წლიური ანგარიში დგება სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში და ეგზავნება პარტნიორებს.

9.2. პარტნიორთა კრება წლიური ანგარიშის გადაგზავნის შემდეგ მოწვეულ კრებაზე ამტკიცებს წლიურ ანგარიშს და შედეგების განაწილებას, პარტნიორთა წილების პროპორციულად.

მუხლი 10. საზოგადოების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია:

10.1. საზოგადოება იქმნება განუსაზღვრელი ვადით:

- დაუშვებელია საზოგადოების დაშლა ერთი პარტნიორის მიერ.
- საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდება პარტნიორთა მიერ, თუ ამას გადაწყვეტენ 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელები.

10.2. საზოგადოება წყვეტს საქმიანობას:

- პარტნიორთა გადაწყვეტილებით;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის /შერწყმის, გამოყოფის, გაყოფის, გარდაქმნის/ ან ლიკვიდაციის გზით.

10.3. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გადახდის უუნარო გახდება, დირექტორებმა, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ არა უგვიანეს სამი კვირისა გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან, უნდა განაცხადონ საბანკროტო საქმის აღძვრის შესახებ. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ქონება უკვე ვეღარ ფარავს ვალებს. არ მიიჩნევა განაცხადის ბრალეულ გაჭიანურებად, თუ დირექტორები საბანკროტო საქმის აღძვრას ეპყრობა კომერსანტის კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით.

10.4. რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლება და ვალდებულებები გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.

10.5. პარტნიორებს შეუძლიათ ერთი ფორმის საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად, წილობრივი ურთიერთობისა და საქმიანობის საგანის შენარჩუნებით. გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით. გარდაქმნის ბალანსში შეიტანება აქტივები ძველი საბალანსო ან საბაზრო ღირებულებით.

10.6. საბაზრო ღირებულებას ამოწმებენ დამოუკიდებელი ექსპერტები, გარდაქმნისათვის აუცილებელია ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

10.7. საწარმოო, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე საწარმოო ერთეულია, შეიძლება დაიყოს მის შემადგენლობაში მყოფ საწარმოებად და მათ გააგრძელონ საქმიანობა როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა.

10.8. შერწყმა და ნატურით გაყოფა დაიშვება მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის და დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი ძალით.

10.9. ლიკვიდაციას აწარმოებენ პარტნიორები ერთობლივი ხელმოწერით, თუ მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს ლიკვიდატორი ინიშნება ადგილობრივი სასამართლოს მიერ.

10.10. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება; ვალების დაფარვის შემდეგ, ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული თანხებისა და მათი წილების შესაბამისად.

მუხლი 11. სხვა დებულებები:

11.1. დაუშვებულია პარტნიორთა კრების, საერთო კრების გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

11.2. საზოგადოებას შეუძლია დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ, ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს.

11.3. პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან.

11.4. ამ წესდებაში აღნიშნული "დამოუკიდებელ ექსპერტად" მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი, რომელსაც სახელმწიფოსაგან აქვს უფლებამოსილება შეამოწმოს საწარმოთა საბუღალტრო საქმე და ანგარიშიანობა ზოგადად და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანახმად.

მუხლი 12. დასკვნითი დებულება:

12.1. თუ წესდების რომელიმე დებულება გახდა ბათილი ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებათა ნამდვილობაზე, ბათილი დებულების ნაცვლად მოქმედების წესი, რომელიც ძალაშია და რომელთაც უფრო ადვილად მიიღწევა საზოგადოების მიზანი. იგივე წესი მოქმედებს წესდებაში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში.

დამფუძნებლები:

1. /კახაბერ ფარცვანია/

2. /მედეა ჭაჭუა/

11

სანოტარო აქტი
რეესტრში სარეგისტრაციო № 1-265
საქართველო

ორიათას ორი წლის პირველ მარტს, მე, მაია ფუტკარაძეს, ნოტარიუსს, ზუგდიდში ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. ზუგდიდში კოსტავას ქ. №58-ში, I სართულზე, მომმართეს შ.პ.ს. "ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი"-ს დამფუძნებელმა პარტნიორებმა:

1. კახაბერ ფარცვანიამ, 2. მედეა ჭაჭუამ, მათ წარმოადგინეს შ.პ.ს. "ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი"-ს წესდება და მოითხოვეს სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე, კახაბერ ფარცვანიას და მედეა ჭაჭუას პირადობა და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად კახაბერ ფარცვანიამ(დაბადებული 1969 წლის 2 იანვარს ქ. ზუგდიდში. მცხოვრები ქ. ზუგდიდი, თაბუკაშვილის ქ. №73, პ№19001006757, პირადობის მოწმობის №a0161722 გაცემული 1997 წლის 12 მაისს შს ზუგდიდის სამმართველოს მიერ) და მედეა ჭაჭუამ(დაბადებული 1954 წლის 28 თებერვალის ქ. ზუგდიდში. მცხოვრები ქ. ზუგდიდი, თაბუკაშვილის ქ. №29, პ№19001007388, პირადობის მოწმობის №d0357366 გაცემული 2001 წლის 31 ივლისს შს ზუგდიდის სამმართველოს მიერ) მომმართა.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, მე დავრწმუნდი კახაბერ ფარცვანიას და მედეა ჭაჭუას ნების გამოვლენის ნამდვილობაში. წინამდებარე წესდება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. მე მათ წავუკითხე წესდება და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. დამფუძნებლებმა განაცხადეს, რომ წესდება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე წესდებას.

ნოტარიუსის საზღაური 50,00 ლარი

ნოტარიუსი /მ. ფუტკარაძე/

12

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160856577
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.08.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ლიანა არქანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #85, პირველი სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(8215) 2 28 12 მობ: 591701135
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	11710758716016

სანოტარო აქტი
ორიათას თექვსმეტი წლის ორ აგვისტოს
მე, ნოტარიუს ლიანა არქანიას ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ.ზუგდიდი,რუსთაველის ქ. N85-ში მომმართა ეკა ფარცვანიამ (პირ#19001007367) რომელმაც წარმომიდგინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ -ფრანგული კოლეჯი''-ის წესდება დამოწმებული ნოტარიუს მაია ფუტკარაძის მიერ, 01.03.2002წ , ფოტოასლი და მოითხოვა მისი დედანთან იდენტურობის სანოტარო წესით დამოწმება. მე, ნოტარიუსმა ლიანა არქანიამ დავამოწმე დაბადების მოწმობის ფოტოასლის დედანთან იდენტურობა 10 გვერდზე, 1 ეგზემპლარად. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 5,00ლარი (მუხლი 31.5) თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ისა "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ"

ნოტარიუსი:

NOTARY LIANA ARKANIA

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი

დამფუძნებელთა კრების ოქმი N 3

ზუგდიდი 2014 წლის 4 აგვისტო

კრებას ესწრებოდნენ: მედეა ჭაჭუა - პირადი N 19001007388, კახაბერ ფარცვანია - პირადი N 19001006757 და მოწვეული სტუმრის სტატუსით - ეკა ფარცვანიას ნდობით აღჭურვილი პირი ზურაბ კობახიძე - პირადი N 19001009248 (2014 წლის 4 აგვისტოს მინდობილობა 140814140)

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ფარცვანია, მდივანი: მედეა ჭაჭუა.

დღის წესრიგი:

1. შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დამფუძნებლის კახაბერ ფარცვანიას 80%-იანი წილის ეკა ფარცვანიასთვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ.
2. შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის იურიდიული მისამართის შეცვლის შესახებ და ელფოსტის განსაზღვრა.
3. შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დირექტორის კახაბერ ფარცვანიას დირექტორობიდან განთავისუფლების შესახებ.
4. შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დირექტორად ეკა ფარცვანიას დანიშვნის შესახებ.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და გადაწყვიტეს სხდომამ იმუშაოს აღნიშნული დღის წესრიგით. ერთხმად, მომხრე 2.

1. მოისმინეს: კახაბერ ფარცვანიას განცხადება, რომ ის არჩეულია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, რაც, „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" შეუთავსებელია სამეწარმეო საწმიანობასთან. აქედან გამომდინარე ის, შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის კუთვნილ წილს 80%-ს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადასცემს მის დას ეკა ფარცვანიას, პირადი N 19001007367.

საქართველოს იუსტიცი
საჯარო რეესტრის ეროვ
შტამპი №

აზრი გამოთქვა: მედეა ჭაჭუამ და მოწვეულმა სტუმარმა ზურაბ კობახიძემ, [illegible] დაადასტურა ეკა ფარცვანიას მზაობა მიიღოს კახაბერ ფარცვანიას კუთვნილი [illegible] 80%-ის ოდენობით.

ბეჭდური
საქმიანობა

დაადგინეს: ერთხმად, მომხრე 2.
კახაბერ ფარცვანიას, შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგულ კოლეჯში, კუთვნილი წილი 80% უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს მის დას, ეკა ფარცვანიას, პირადი N 19001007367.

2. მოისმინეს: მედეა ჭაჭუას განცხადება, შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის იურიდიული მისამართის შეცვლის შესახებ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დარეგისტრირების დროს კოლეჯი

იყო: ზუგდიდი, თაბუკაშვილის ქ N29-ში მდებარე, სსიპ ქ. ზუგდიდის N 11 საჯარო სკოლის კუთვნილი ფართის დამქირავებელი, რის შემდეგაც კოლეჯმა შეიძინა საკუთარი შენობა და ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია წესდებაში ცვლილების შეტანა და იურიდიულ მისამართად ნაცვლად ზუგდიდი, თაბუკაშვილის 29-ისა მითითებული იყოს ფაქტობრივი მისამართი: ზუგდიდი, ლომოურის ქ. N32. ასევე ელფოსტად განისაზღვროს ecolepm@gmail.com

დაადგინეს: ერთხმად, მომხრე 2.
შეიცვალოს შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის იურიდიული მისამართი და იურიდიულ მისამართად დარეგისტრირდეს ზუგდიდი, ლომოურის ქ. N 32 და ელფოსტად ecolepm@gmail.com

3. მოისმინეს: შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დირექტორის კახაბერ ფარცვანიას დირექტორობიდან პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლების შესახებ.

დაადგინეს: ერთხმად, მომხრე 2.
შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დირექტორი კახაბერ ფარცვანია პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდეს დირექტორობიდან.

5. მოისმინეს: შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დირექტორად, საკუთარი სურვილის თანახმად, ეკა ფარცვანიას დანიშვნის შესახებ.

დაადგინეს: ერთხმად, მომხრე 2.
შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დირექტორად, საკუთარი სურვილის თანახმად, დაინიშნოს ეკა ფარცვანია.

სამინისტრო ... ული საჯარო ... 201 წ.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ფარცვანია

მდივანი: მედეა ჭაჭუა

მოწვეული სტუმარი: ზურაბ კობახიძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №5230
თარიღი 04.06.2014 20 14 წ.
მ.მ.რამაზოვნოა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს ზუგდიდის პრინც მიურაგის სახელობის ქართულ-
ფრანგული კოლეჯი„ - ს
(ს-კ 220348657)
წილის ჩუქების ხელშეკრულება
(გარიგების მარგიეი ფორმა)

ქ. ზუგდიდი 2014 წლის 4 აგვისტო

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზუგდიდის პრინც მიურაგის სახელობის ქართულ - ფრანგული კოლეჯი"-ს დამფუძნებელი პარტნიორი კახაბერ ფარცვანია (პ-ნ 19001006757) არის მთლიანი საწესდებო კაპიტალის 80 % - ს მფლობელი.

2. შპს „ ზუგდიდის პრინც მიურაგის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი" –ს მარეგისტრირებელი ორგანოა: რაი სასამართლო, სახ. რეგ. თარიღი 14/4-486; 01/03/2002 (საიდენტიფიკაციო კოდი 220348657) საზოგადოების იურიდიული მისამართია საქართველო, ზუგდიდი, თაბუკაშვილის ქ №29; ელ ფოსტაა: **ecolepm@gmail.com**

საზოგადოების შპს-ს წესდებით ირკვევა, რომ შპს „ ზუგდიდის პრინც მიურაგის სახელობის ქართულ - ფრანგული კოლეჯი" ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას:

დამფუძნებელი პარტნიორი კახაბერ ფარცვანია (პ-ნ 19001006757) ასხვისებს და ჩუქების გზით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს შპს „ზუგდიდის პრინც მიურაგის სახელობის ქართულ - ფრანგული კოლეჯ " –ში მის კუთვნილ წილს 80%-ის ოდენობით, ამ წილთან დაკავშირებული ყველანაირი უფლებითა და მოვალეობით ამავე საზოგადოების ახალ პარტნიორს ეკა ფარცვანიას პირადი № 19001007367, რომელსაც წარმოადგენს მისი მინდობილი პირი *ზურაბ კობახიძე (დაბადებული 19.03.1962 წელს, პირადი № 19001009248 თანახმად მინდობილობისა დამოწმებული ნოტარიუს ელენე მერგელის მიერ 04.08.2014 წ. რეგ № 140814140)* ეკა ფარცვანია თანახმაა მიიღოს ეს წილი.

3. წილის გადაცემასთან ერთად წილის მიმღებებზე გადადის მოგების მიღების უფლება ხელშეკრულების სამეწარმეო რეესტრში გატარების დღიდან.

5. შპს „ ზუგდიდის პრინც მიურაგის სახელობის ქართულ - ფრანგული კოლეჯი„ - ს წილის გაჩუქებაზე არსებობს პარტნიორების 2014 წლის 4 აგვისტოს კრების ოქმი №3

6. ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს სამეწარმეო რეესტრში გატარების მომენტიდან.

7. ეს ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში სათანადო წესით თითო-თითო ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

1. კახაბერ ფარცვანია
2. ზურაბ კობახიძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №530
თარიღი 04 " აგვისტო 2014 წ.
გვ.რაოდენობა 01 სალარო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14078690, 12/08/2014 13:32:17

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	220348657
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	14/4-486; 01/03/2002
მარეგისტრირებელი ორგანო:	რაი.სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ.ზუგდიდი, ლომოურის ქ., №32
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	ecolepm@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 19001007367, ეკა ფარცვანია

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
19001007388, მედეა ჭაჭუა	20.00000000%	
19001007367, ეკა ფარცვანია	80.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

მოქ. ეკა ფარცვანია (პ/ნ 19001007367) მცხ:

ზუგდიდი ი.კიკალიშვილის ქ. N 1 ბ. 18

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა